ცაგერის მუნიციპალიტეტის 2021წლის ცხრა თვის
ბიუჯეტის შესრულების ანგარიში

- - - -

ხელშეკრულების ფინანსური უზრუნველყოფისათვის.

2. 20 000 ლარი - წითელი ჯვრის საერთაშორისო ორგანიზაციის სუბსიდირება, თანახმად ცაგერის მუნიციპალიტეტსა და საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებას შორის 2021 წლის 29 იანვარს გამორმებული ხელშეკრულებით აღებული ვალდებულების ფინანსური უზრუნველყოფისათვის.
3. 13 000 ლარი - სანიაღვრე არხების მშენებლობა, ექსპლუატაცია და რეაბილიტაციისათვის
4. 19 000 ლარი - გზების მოვლა-შენახვის დაფინანსებისათვის.

ბიუჯეტის ცვლილების საფუძველია ბიუჯეტით დამტკიცებულ პროგრამებს და ქვეპროგრამებს შორის თანხის გადატანა, კერძოდ,

შემცირდეს

- კეთილმოწყობის ღონისძიებები (ორგ.კოდი 02 05) - 16.0 ათ.ლარით.
- საკანალიზაციო სისტემების მოწყობა რეაბილიტაციის ღონისძიებები(ორგ.კოდი 02 02 03) – 17.0ათ.ლარით
- წყლის სისტემების რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია(ორგ.კოდი 02 02 01) – 10.0ათ.ლარით
- მერიის შრომითი ანაზღაურება (ორგ.კოდი 01 01 02) – 13.0ათ.ლარით.

გაიზარდოს

- გზების მოვლა-შენახვაში(ორგ კოდი 02 01) – 16.0ათ.ლარით.
- მერიის არაფინანსური აქტივები - 40.0ათ.ლარით.

როგორც საკრებულოსათვის ცნობილია 2020 წელს ცაგერის მუნიციპალიტეტსა და სს“ენერგო-პრო ჯორჯიას“ შორის გაფორმებული შეთანხმების თანახმად(#003-10-G/20 20 იანვარი 2020წელი), რომელიც ითვალისწინებდა კომპანიის მიერ სოფ.ალპანაში საცურაო აუზის და მისი წყალმომარაგების სისტემის მოწყობას და რისთვისაც სს“ენერგო-პრო ჯორჯიამ“ გამოყო 51847 ლარი , რომელიც შემოსავლებში აისახება ნებყოფილობით ტრანსფერში გრანტების გარეშე, ხოლო ხარჯებში 2,0 ათ, ლარი აისახება საპროექტო სამუშაოებში, ხოლო 49847 ლარი - კეთილმოწყობის ღონისძიებებში(ფასადების და სკვერების კეთილმოწყობა). აღნიშნული თანხის ათვისება მოხდება მიმდინარე წელს, საპროექტო სამუშაოებზე გამოცხადებული ტენდერის შედეგად , თავისუფალი დარჩა 201 ლარი, რომელიც საპროექტო სამუშაოებიდან გადატანილია კეთილმოწყობის ღონისძიებებში და გაიზრდა შესაბამისად ალპანის საცურაო აუზის კეთილმოწყობის სამუშაოები.

ასევე უნდა გაცნობოთ, რომ ცაგერის მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 11 და 19 თებერვლი #2-11 და2-17 ბრძანებების შესაბამისად, ბიუჯეტში აისახა საქართველოს მთავრობის 2021 წლის 4 თებერვლის #147 განკარგულება, რომელიც ეხება ცაგერის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლეების სატრანსპორტო მომსახურების შესყიდვისათვის გამოყოფილი თანხებს,რომელზეც გაფორმებულია შესაბამისი ხელშეკრულება #12 13.01.2020 (13929 ლარი) და ხელშეკრულება#5 28.01.2021 (24972 ლარი).

ცაგერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში მესამე ცვლილების საფუძველი იყო საქართველოს მთავრობის 2021 წლის 12 აპრილის #589განკარგულება, მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან მუნიციპალიტეტს გამოეყო 500 000 ლარი, (განკარგულება თან ახლავს) რომელიც შემოსულობების ნაწილში აისახება გრანტებში , ხოლო ხარჯებში

1. საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება – 500 000 ლარი(ლასურიაში-მახაშის გზის ასფალტო-ბეტონის საფარის მოწყობა).

ცაგერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ასევე ცვლილების საფუძველი იყო საქართველოს ,მეცნიერების კულტურისა და სპორტის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სსიპ , საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ “ზოგიერთი მუნიციპალიტეტებისათვის უფლებამოსილებების ხელშეკრულების საფუძველზე დელეგირების

შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 4 თებერვლს #147 განკარგულების შესაბამისად, ცაგერის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლეების სატრანსპორტო მომსახურების შესყიდვისათვის გამოყოფილი თანხები,რომელზეც გაფორმებულია შესაბამისი ხელშეკრულება #37 13.02.2020 თანხა 41250.31 ლარის ოდენობით,(ხელშეკრულება თან ერთვის) რომელიც შემოსულობების ნაწილში აისახება გრანტებში, ხოლო გადასახდელებში აისახება

1) მუნიციპალური ტრანსპორტის სუბსიდირება და საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტირება 41250,31 ლარი.

ბიუჯეტის ცვლილების საფუძველი იყო ბიუჯეტით დამტკიცებულ პროგრამებს და ქვეპროგრამებს შორის თანხის გადატანა, კერძოდ,

შემცირდა

- კეთილმოწყობის ღონისძიებები (ორგ.კოდი 02 05) - 15.0 ათ.ლარით.
- საკანალიზაციო სისტემების მოწყობა რეაბილიტაციის ღონისძიებები(ორგ.კოდი 02 02 03) – 10.0ათ.ლარით
- წყლის სისტემების რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია(ორგ.კოდი 02 02 01) – 10.0ათ.ლარით
- საკრებულოს შრომითი ანაზღაურება (ორგ.კოდი 01 01 01) – 42.0ათ.ლარით.
- მერიის შრომის ანაზღაურება (ორგ.კოდი 01 01 02) – 10.0 ათ. ლარით.
- მერიის არაფინანსური აქტივები(ორგ.კოდი 31) – 15.0 ათ.ლარით.
- წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფინანსური უზრუნველყოფა - 3.0 ათ.ლარით
- კულტურული ღონისძიებების დაფინანსება(ორგ.კოდი 05 02 06) – 5.0 ათ.ლარით.

ამ ცვლილებით შემცირდა წყლის სისტემის რეაბილიტაცია-ექსპულატაციის ხარჯი, რასაც ეწინააღმდეგებოდა საფინანსო- საბიუჯეტო კომისია, იმ ფონზე როდესაც თითქმის სოფლების უმრავლესობაში ეს პრობლემა წვავედ დგას კომისიის აზრით პრობლემა უნდა იყოს მუნიციპალიტეტისათვის პრიორიტეტული და დაფინანსებაც შესაბამისად უნდა იზრდებოდეს.

გაიზარდა

- გზების მოვლა-შენახვაში(ორგ კოდი 02 01) – 20.0ათ.ლარით.
- რეგიონალური პროექტების პროექტირებისა და ტექინკური ზედამხედველობის დაფინანსება (ორგ.კოდი 02 06) – 18.0ათ.ლარი.
- დონორ ორგანიზაციებთან ერთად ერთობლივი ინფრასტრუქტურული პროექტების თანადაფინანსება(ორგ.კოდი 02 10) - 52.0ათ.ლარი.
- მერიის საქონელი და მომსახურება (ორგ.კოდი 01 01 02) – 5.0ათ.ლარით.
- კეთილმოწყობის ღონისძიებები (ნაპირსამაგრი სამუშაოები) – 15.0 ათ. ლარით.

აგრეთვე ცაგერის მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 16 მარტის #2-27 ბრძანების შესაბამისად, მოხდა ბიუჯეტის გაზრდა საქართველოს მთავრობის 2021 წლის 4 თებერვლის #147 განკარგულების შესაბამისად, რომელიც ეხება ცაგერის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლეების სატრანსპორტო მომსახურების შესყიდვისათვის გამოყოფილი თანხებს,რომელზეც გაფორმებულია შესაბამისი ხელშეკრულება #18 13.01.2020 (30937.73 ლარი) .

ასევე ცაგერის მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 16 აპრილის #2-40 ბრძანებების შესაბამისად, ბიუჯეტში აისახა შემდეგი ცვლილება:

შემცირდა - მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამუშაოების(ორგ.კოდი020501) დაფინანსება 8700 (რვაათასშვიდასი) ლარით,

გაიზარდა - საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია და მოვლაშენახვა(გზები და ხიდები)(ორგ.კოდი 02 01 01) – 3700(სამიათას შვიდასი)ლარით

- ქალაქის განვითარების გეგმის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო, ზედამხედველობის და ექსპერტიზის ხარჯები(ორგკოდი 02 06) – 5000(ხუთი ათასი)ლარით.

ცაგერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში მეოთხე ცვლილების საფუძველი იყო ბიუჯეტით დამტკიცებულ პროგრამებს და ქვეპროგრამებს შორის თანხის გადატანა, კერძოდ, მუნიციპალიტეტის მიერ მიმდინარე წელს იგეგმება სოფ. ღვირიშის მიმართულებით რკინა-ბეტონის საფარიანი გზის მოწყობის სამუშაოების განხორციელება საერთო ღირებულებით 1800.0ათ.ლარი. საჭიროა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მიერ შეძენილი იქნას აღნიშნული გზის მოწყობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, რისთვისაც საორიენტაციოდ საჭიროა 46.0 ათ.ლარი.

ზემოთ აღნიშნული ფინანსური უზრუნველყოფისათვის:

შემცირდა

- სკოლამდელი აღზრდა (ორგ.კოდი 04 00) - 46.0 ათ.ლარით.

გაიზარდა

- რეგიონალური პროექტების პროექტირებისა და ტექნიკური ზედამხედველობის დაფინანსება (ორგ.კოდი 02 06) – 46.0ათ.ლარი.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ახალი ნაგვის ურნების შეძენისათვის შემცირდა

მერიის (ორგ.კოდი 01 01 02) გრანტები 14.0 ათ,ლარით და შესაბამისად გაიზარდა მერიის

საქონელი და მომსახურება 14.0ათ.ლარით.

ცაგერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში მეხუთე ცვლილების საფუძველი იყო საქართველოს მთავრობის 2021 წლის 28 აპრილის 665 განკარგულება „ სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების „ შესახებ 80.0ათ.ლარის გამოყოფის შესახებ, რომელიც შემოსავლებში აისახება გრანტებში , ხოლო გადასახდელებში საგზაო ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვის დაფინანსებისათვის.

ცაგერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ცვლილების საფუძველი იყო ასევე საქართველოს მთავრობის 2021 წლის 31 მაისის 885 განკარგულება, (2020 წლის 30 დეკემბრის 2685 განკარგულებაში ცვლილება) საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტს გამოეყო არაუმეტეს 4 594 144 ლარი, (განკარგულება თან ახლავს) რომელიც შემოსულობების ნაწილში აისახება გრანტებში , ხოლო ხარჯებში

3. საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია და მოვლა შენახვა (გზები და ხიდები) - 1 748 856 ლარი (ადგილობრივი მნიშვნელობის ქ.ცაგერის და სოფელ გვესოს დამაკავშირებელი საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები, სოფ,ლუხვანოს გზის რეაბილიტაცია, სოფ,ჩხუტელში ცენტრალური ასფალტირებული საავტომობილო გზიდან კვირიკაშვილების უბნის საავტომობილო გზის რეაბილიტაცია, ქ.ცაგერში აღმაშენებლის ქ#75 და#77 ეზოების ასფალტო ბეტონის საფარის მოწყობა, სოფ. ქვ,ცაგერში ე. წ „ლაზარიანების უბანში“ გზის ასფალტო ბეტონის საფარის მოწყობა, სოფ,გაგულეჩში ორ უბანში საავტომობილო გზის რეაბილიტაცია).
4. კეთილმოწყობის ღონისძიებები(ფასადების და სკვერების კეთილმოწყობა) – 74 378ლარი(თაბორის მინი სტადიონი)
5. წყლის სისტემების რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია - 276 766ლარი(სოფელ ორბელში წყალმომარაგების სისტემების რეაბილიტაცია, სოფ,ზემო აღვის წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია)

ბიუჯეტის ცვლილების საფუძველი იყო ბიუჯეტით დამტკიცებულ პროგრამებს და ქვეპროგრამებს შორის თანხის გადატანა, კერძოდ,

შემცირდა:

- მერიის მივლინების ხარჯები ქვეყნის შიგნით - 5000 ლარით,
- საკრებულოს მივლინების ხარჯები ქვეყნის შიგნით -1500 ლარით,
- საკრებულოს სხვა ხარჯები - 9500ლარით,
- რეგიონალური პროექტების პროექტირებისა და ტექნიკური ზედამხედველობის დაფინანსება (ორგ.კოდი 02 06) – 2000 ლარი.

გაიზარდა:

- მერიის მივლინების ხარჯები ქვეყნის გარეთ - 5000 ლარი,
- საკრებულოს მივლინების ხარჯები ქვეყნის გარეთ - 4000ლარით,
- საკრებულოს არაფინანსური აქტივები - 7000ლარით,
- წყლის სისტემების არაფინანსური აქტივები - 2000 ლარით

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტმა შეადგინა 14 454.86 ათ.ლარი

ცაგერის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტში მესვიდე ცვლილების საფუძველი იყო საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წერილი (#04-03/88275 12.07.2021) .აღნიშნული წერილით წარმოდგენილი ინფორმაციით გადამუშავებული ფისკალური პროგნოზების შესაბამისად ,შეიცვალა ცაგერის მუნიციპალიტეტისათვის 2021 წელს გადასახედებიდან მისაღები შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლები , კერძოდ 2021 წლის მისაღები დამატებითი ღირებულების გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 6284,6 ათ.ლარის ოდებობით, რაც 574.2 ათ.ლარით აღემატება შემოსავლების ამ სახეობაში დღეს არსებულ გეგმას (6250,4 ათ.ლარი). ასევე 2021 წელს მისაღები ქონების გადასახადი საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 450,0 ათ.ლარიტ,რაც 50,0 ათ. ლარით აღემატება ამჟამინდელ გეგმას (400,0 ათ.ლარი) .აღნიშნულის გათვალისწინებით ,საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ნომართვის შესაბამისად ბიუჯეტის შემოსავლები უნდა გაიზარდოს 624.2 ათ.ლარით, მ/ს დღგ 574,2 ათ.ლარი, ქონების გადასახადი -50,0 ათ.ლარით.

ასევე გაცნობებთ ,რომ მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტიტ არაფინანსური აქტივების კლება დამტკიცებული იყო 40,0 ათ.ლარის ოდენობით,ფაქტიურად შემოსავლებმა ამ სახეობიდან დღეის მდგომარეობით შეადგინა 98,8 ატ.ლარი ე.ი. 58,8 ათ.ლარით მეტი დაგეგმილ მოცულობასთან შედარებით.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე 2021 წლის ბიუჯეტის შემოსულობები გაიზარდოს 683,0 ათ.ლარით, მ/შორის

-დღგ-574,2 ათ.ლარით

- ქონების გადასახადი-50,0 ათ.ლარით

-არაფინანსური აქტივების კლება -58,8 ათ.ლარით

ცაგერრის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტში დამატებით მისარები შემოსულობები (683,0 ათ.ლარი) ბიუჯეტით გათავილწინებული იქნა თითოეული პროგრამის შესრულების კუტხით ფაქტიურად არსებული მდგომარეობა და დამატებით დასაგეგმი ღონისძიებების აუცილებლობა .კერძოდ, გაზრდილი ფინანსური რესურსი 683,0 ათ.ლარი ბიუჯეტის გადასახადების კუთხით განაწილდეს შემდეგ პრიორიტეტებსა და პროგრამებზე:

- ადგილობრივი მნიშვნელობის გზების რეაბილიტაცია და მშენებლობა (ორგ.კოდი 02 01 02)

-265,0 ათ.ლარით, მ/შ სოფელ აღვის საავტომობილო გზის რეაბილიტაციის პირველი ეტაპი -100,0 ათ.ლარი,სოფელ ტვიშის საავტომობილო გზის რეაბილიტაციის პირველი ეტაპი -100,0 ათ.ლარი, სოფელ ჭალისთავში სასაფლაოს და მიმდებარე გზის ,სოფლის ერტ უბანში გზის რეაბილიტაცია -65,0 ათ.ლარი.

-წყლის სისტემის მოწყობა-რეაბილიტაცია (ორგ. კოდი 02 02) -60 ,0 ათ.ლარი,მ/შორის სოფ ნაკურალეშის ჭაბურღილისა და წყალსადენის ქსელის რეაბილიტაციის სამუშაოებისთვის 40,0 ათ.ლარი .ნაკურალეშის წყალსადენის მოწყობის თაობაზე დადებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება მიმწოდებლის მიერ შეუსრულებლობის გამო შეწყდა.აუცილებლობის გამო

,მუნიციპალიტეტის მიერ მოხდა საპროექტო სახარჯთარრიცხვო დოკუმენტაციის გადამუშავება და პროექტის სახარჯთაღრიცხვო ღირებულებამ შეადგინა 193,0 ათ.ლარი. წყალსადენის ამ სისტემის მოწყობისთვის გასულ წლებში სქართველოს მთავრობის განკარგულებიტ გამოყოფილი თანხის ნაშთი შეადგენს 153,0 ათ.ლარს და სხვაობა 40,0 ათ.ლარი დაფინანსება მუნიციპალიტეტის მიერ.

ასევე წყლის სისტემის რეაბილიტაციისათვის ,მილების და სხვა მასალების შეძენა 20,0 ათ.ლარი.

სანიაღვრე არხების და ცხაურების მოწყობის სამუშაოები- 30 ,0 ათ.ლარი , მ/შორის ქ.ცაგერის ქუჩებში დაზიანებული არხებისა და ცხაურების რეაბილიტაციის სამუშაოები-15,0 ათ.ლარი ,სოფ ქვ. ცაგერში (ჩაკვეტაძეების და ბენდელიანების უბანში) სანიაღვრე არხების მოწყობის სამუშაოები -15,0 ათ.ლარი.

კეთილმოწყობის ღონისძიებები-80.0 ათ.ლარი. მ/შორის ქ,ცაგერში ცენტრალური სტადიონის დაზიანებული ღობის აღდგენა -10,0 ათ.ლარი, ქ.ცაგერში თავისუფლების ქუჩის ჩიხში დაზიანებული კედლის აღდგენა -10.0 ათ.ლარი, სოფ.ლაჯანაში საექიმო ამბულატორიის მოწყობის სამუშაოები -60.0 ათ.ლარი.

სარეზარვო ფონდი -(ორგ.კოდი 01 01 01) – 10,0 ათ.ლარით.

რეგიონალური პროექტების პროექტირებისა და ტექნიქური ზედამხედველობის დაფინანსება (ორგ.კოდი 02 06) 25,0 ათ.ლარით ,დაგეგმილია სხვადასხვა პროექტების მომზადება (სოფ.ალპანის და დეხვირის წყალსადენის მოწყობა , სოფ .დეხვირის ღია ცის ქვეშ მუზეუმის გადახურვის და სხვადასხვა ნაგებობების მოწყობა)

დონორ ორგანიზაციებთან ერთობლივი ინფრასტრუქტურული პროექტების თანადაფინანსება (ორგ.კოდი 02 10)-28.0 ათ.ლარი.

ა(ა)იპ ადმინისტრაციულ ერთეულებში ადგილობრივი თვითმმართველობის და ფერმერული მეურნეობის განვითარების და ხელშეწყობის ცენტრი- სუბსიდია -146,ო>ათ.ლარი.

ა(ა) იპ ახალგაზრდობის ,საზოგადოებასთან ურთიერთობის და პერსპექტიული დაგეგმარების ცენტრის- სუბსიდია -39,0 ათ.ლარი.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი გაიზარდა 718,57 ათ.ლარით და შეადგინა 15 173, 43 ათ.ლარი.

ცაგერის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტში მერვე ცვლილების საფუძველი იყო საქართველოს მთავრობის 2021 წლის 31 აგვისტოს #1528 განკარგულება-2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში შერჩეული პროექტების დასაფინანსებლად ზოგიერთი მუნიციპალიტეტისთვის თანხის გამოყოფის შესახებ“(2021 წლის 16 აგვისტოს #1419 გამკარგულების ცვლილება), რომლის მიხედვითაც მუნიციპალიტეტს გამოეყო სულ 1408864 ლარი, საიდანაც 2021 წელს გამოყოფილი თანხა შეადგენს 548 300 ლარს ,რომელიც შემოსავლებში აისახება გრანტებში ,ხოლო გადასახადებში:

1. საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია და მოვლა შენახვა (გზები და ხიდები) -140 000 ლარი (რეაბილიტაცია, სოფ ჩხუტელში გორის უბნის მისასვლელი „ღვინის გზის“ რეაბილიტაცია).
2. კეთილმოწყობის ღონისძიებები- 408 300 ლარი (სოფ.ქვედა ღვირიშის ჩანჩქერთან მისასვლელი ბილიკების რეაბილიტაცია, სოფ.ქვედა ისუნდერში ბუნებრივი მწვანე ჩანჩქერთან და ციხე - სიმაგრესთან მისასვლელი ბილიკების რეაბილიტაცია , ქ.ცაგერში მრავალფუნქციური სპორტული დარბაზის სახურავის რეაბილიტაცია.

   ასევე გაცნობებთ , რომ ცაგერის მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 23 აგვისტო # ბ 80.80212351 ბრძანების შესაბამისად , ბიუჯეტი გაიზარდა საქართველოს მთავრობის 2021 წლის 4 თებერვლის # 147 განკარგულების შესაბამისად, რომელიც ეხება ცაგერის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის შესყიდვებისათვის გამოყოფილ თანხებს,რომელზეც გაფორმებულია შესაბამისი ხელშეკრულება # 202 20.08. 2021 (149 043.41 ლარი)

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი გაიზარდა 697 , 343 ათ.ლარით და შეადგინა 15 870,73 ათ.ლარი.

ცაგერის მუნიციპალიტეტის ცხრა თვის ბიუჯეტის შემოსულობების გეგმა შეადგენს 11269,6 ათ.ლარს.,ფაქტიურად შემოსულია 10735,4 ათ.ლარი,გეგმა შესრულდა 95,3 %-ით. მათ შორის : შემოსავლების გეგმა 11180,8 ათ.ლარი,ფაქტიურად შემოსულია 9134,8 ათ.ლარი,გეგმა შესრულდა 81,7

%-ით. გადასახადების გეგმა 5248,3 ათ.ლარი, ფაქტიურად შემოსულია 5594,8 ათ.ლარი,გეგმა შესრულდა 106,6%-ით. აქედან ქონების გადასახადის გეგმა იყო 371,0 ათ.ლარი. ფაქტიურმა შემოსავლებმა შეადგინა 441,4 ათ.ლარი,გეგმა შესრულდა 119,%-ით.დამატებითი ღირებულების გადასახადის გეგმა 4877,3 ათ.ლარი,ფაქტიური შემოსავალი 5153,4 ათ.ლარი. გეგმა შესრულდა 105,7%-ით .გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით გაზრდილია როგორც გადასახადების გეგმები,ასევე ფაქტიური შემოსავლები და უნდა აღინიშნოს ,რომ შესრულება აღემატება 100%-ს.

გრანტების სახით მიღებული შემოსავლების გეგმა 5475,7 ათ.ლარს, ფაქტიურად შემოსულია 3308,1 ათ.ლარი,ანუ გეგმის 60,4 %,მათ შორის მიზნობრივი ტრანფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად, გეგმა იყო 263,7 ათ.ლარი,ფაქტიურად შემოსულია 262,8 ათ.ლარი.გეგმა შესრულდა 99,7%-ით.

სხვა შემოსავლები დაგეგმილი იყო 169,9 ათ.ლარით, ფაქტიურად შემოსულია 231,9 ათ.ლარი ,გეგმა შესრულდა 136,5 %-იტ, მათ შორის **,შემოსავლები საკუთრებიდან** დაგეგმილი იყო 84,4 ათ ლარი, ფაქტიური შესრულება არია 55,1 ათ.ლარი,გეგმა შესრულდა 65,3 %-ით,აქედან მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისთვის გადასახადიდან გეგმით უნდა შემოსულიყო 49,4 ათ.ლარი, ფაქტიურად შემოსულია 47,9 ათ.ლარი, გეგმა შესრულდა 97%-ით. **საქონლის და მომსახურების რეალიზაციის** გეგმა იყო 15,4 ათ.ლარი,ფაქტიური შესრულება არის 19,7 ათ.ლარი,გეგმა შესრულდა 127,9%-ით, მ/შორის ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისთვის გეგმა 3,5 ათ.ლარი,ფაქტიურად შემოსულია 3,1 ათ.ლარი, ანუ გეგმა შესრულდა 88,3 ათ.ლარი, **შემოსავალი მომსახურების გაწევიდან** გეგმა 16,0 ათ.ლარი,ფაქტიურად შემოსულია 16,3 ათ.ლარი ,ანუ გეგმა შესრულდა 101,8 % -ით, **ჯარიმებით, სანქციებით** და **საურავებით** მიღებული შემოსავალი გეგმით შეადგენდა17,0ათ.ლარს,ფაქტიურად შემოსულია 12,8 ათ.ლარი ანუ გეგმის 75,3 %.სხვა **არაკლასიფიცირებული შემოსავლების** გეგმა იყო 46 ათ.ლარი,ფაქტიური შესრულება144,3 ათ.ლარი ანუ გეგმა შესრულდა 313,7 ათ.ლარით.თუ შევადარებთ გასული წლის ანალოგიურ პერიოდს ,ფაქტიურად ყველა სახეობაში თითქმის იგივე მაჩვენებლები გვაქვს,გამონაკლისია არაკლასიფიცირებული შემოსავლები, სადაც ირიცხება მიმწოდებლის მიერ ხელსეკრულების პირობების დარღვევის გამო დარიცხული კარიმები,რომლის წინასწარ დაგეგმვა შეუძლებელია.

არაფინანსური აქტივების კლებიდან მიღებული ფაქტიური სემოსავლების გეგმა შესრულდა 164,3 %-ით. (გეგმა 88,8 ათ.ლარი,ფაქტი.145,9 ათ,ლარი).

გაწეული ხარჯებიდან მმარტველობა და საერთო დანიშნულების ხარჯებიდან საკანონმდებლო და აღმასრულებელ ორგანოებს უნდა მოხმარებოდა1913,0 ათ.ლარი,დაიხარჯა 1798,6 ათ.ლარი. ათვისებული იქნა 94,0 %.წარმომადგენლობით ორგანოებს უნდა მოხმარებოდა 521,3 ათ.ლარი, ფაქტიურად დახარჯულია 4943,9 ათ.ლარი, ათვისება არის 94,7 %. აღმასრულებელი ორგანოების შენახვას უნდა მოხმარებოდა 1304,2 ათ.ლარი,დაიხარჯა 1258,0 ათ.ლარი ანუ ათვისებულ იქნა 96,5 %-ით. აღნიშნულ პრიორიტეტში გეგმის შეუსრულებლობა გამოწვეულია COVID-19-ის პანდემიის გამო,,რომლის დროსაც სამსახურები გადაყვანილი იყო მუშაობის დისტანციურ რეჟიმზე.

თავდაცვის ხარჯებიდან სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურს მოხმარდა გეგმის 92,6%(გეგმა -50,3 ათ .ლარი,ფაქტი. 46,6 ათ.ლარი).

ადგილობრივი შემოსავლების გადაჭარბებით შესრურებას ცაგერის მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო კომისია რა თქმა უნდა აფასებს დადებითად,მაგრამ აღნიშნული შემოსავლები როგორც წესია, უნდა ხმარდებოდეს მუნიციპალიტეში არსებულ უამრავ ინფრასტრუქტურულ პრობლემების მოგვარებას, რაც შეცვლის მოსახლეობის ყოფით ცხოვრებას, გაზრდის ტურისტების რაოდენობის ნაკადს , მიუხედავდ ამისა აღნისშული შემოსავლები მთლიანად ნაწილდება ა(ა)იპ -ების ხელფასების სუბსიდირებაში,რაც გამოწვეული იყო 2021 წლის ბიუჯეტის არასწორი დაგეგმით (იგულისხმება ა(ა)იპ -ების ხელფასების არასრული დაგეგმა) ასევე ფინანსური ხარჯების გაზრდა გამოწვეული იყო მიმდინარეობაში დასაქმებული ადამიანების რაოდენობის ზრდიტ და ხელფასების მატებით.

ინფრასტრუქტურის მშენებლობა ,რეგილიტაცია და ექსპლოატაცია უნდა დაფინანსებულიყო 7989,5 ათ.ლარიტ ,სადაც 486,8 ათ.ლარით დაგეგმილია საქონელი და მომსახურება ,558,1 ათ.ლარით სუბსიდია, ხოლო 6944,6 ათ.ლარი არაფინანსური აქტივები. პრიორიტეტი დაფინანსდა 4282,6 ათ.ლარით, აქედან საქონელი და მომსახურება დაფინანსდა 471,7 ათ.ლარით, სუბსიდია 529,5 ათ.ლარით, არაფინანსური აქტივები 3281,4 ათ.ლარით, როგორც ამ მონაცემებიდან ჩანს დაბალი შესრულების მაჩვენებელი გვაქვს არაფინანსური აქტივების ათვისებაში ,რაც ძირითადად გამოწვეულია მიმწოდებლების მიერ შესაბამისი შეთანხმების აქტებით , ,გეგმა -გრაფიკის ცვლილებით (ზამთრის პერიოდის გამო) და არშემდგარი ან უარყოფითი შედეგით დასრულებული ტენდერებით,ამიტომ ,ფაქტიურ შესრულებაზე გვაქვს შემდეგი სურათი : გზების მშენებლობა, რეკონსტრუქცია და მოვლა-შენახვა დაფინანსდა 1855,1 ათ.ლარით,გარე განათების რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია დაფინანსდა 219,7 ათ.ლარიტ.კეთილმოწყობის ღონისძიებები დაფინანსდა 88,3 ათ.ლარით . წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია დაფინანსდა 643,1 ათ.ლარიტ. ქალაქის განვითარების გეგმის საპროექტო -სახრჯთაღრიცხვო ,ზედამხედველობის და ექსპერტიზის ხარჯები დაფინანსდა 113,2 ათ.ლარით. საკანალიზაციო სისტემების მოწყობა რეაბილიტაციის ღონისძიებებისათვის დაიხარჯა 12,ო ათ.ლარი. კომუნალური მომსახურება დაფინანსდა 400,5 ათ.ლარიტ, ა(ა)იპ ადმინისტრაციულ ერთეულებში ადგილობრივი თვითმმართველობის და ფერმერული მეურნეობის განვითარებისა და ხელშეწყობის ცენტრი დაფინანსდა 423,1 ათ.ლარიტ. მუნიციპალური ტრანსპორტის ხელსეწყობის ღონისძიებები დაფინანსდა 213,2 ათ.ლარით, დონორ ორგანიზაციებთან ერთად ერთობლივი ინფრასტრუქტურული პროექტების თანადაფინანსება დაფინანსდა 153,5 ათ.ლარით.

ინფრასტრუქტურულია პროექტების განხორციელების მიზანია : მოსახლეობის კონკრეტული საჭიროებების დაკმაყოფილება და სარგებლობის მოტანა. მუნიციპალიტეტი ვალდებულია შესყიდული სამუშაო დასრულდეს დაგეგმილ ვადებში რაც თითქმის ვერ ხერხდება, დაბალი შესრულების მაჩვენებელი გვაქვს არაფინანსური აქტივების ათვისებაში,რაც ძირითადად გამოწვეულია მიმწოდებლის მიერ შესაბამისი შეთანხმების აქტებით, გეგმა გრაფიკის ცვლილებიტ, რასაც საფინანსო-საბიუჯეტო კომისია აფასებს უარყოფოთად.

საგანმანათლებლო ღონისძიებების ხარჯები ათვისებულია 85.5%-ით (გეგმა - 576.9 ათ ლარი, ფაქტი - 493.5 ათ. ლარი). მათ შორის: სკოლამდელი განათლება დაფინანსდა 85.8 0%–ით (გეგმა –534.4 ათ. ლარი, ფაქტიური – 458.3 ათ. ლარი). მოსწავლე–ახალგაზრდობის სახლი დაფინანსდა 82.6 %–ით (გეგმა –42.5ათ. ლარი, ფაქტიური – 35.1 ათ. ლარი). აღნიშნულ პრიორიტეტში გეგმის შეუსრულებლობა გმოწვეული სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების პანდემიის პირობებში საალმზრდელო პროცესის პერიოდული შეჩერების გამო.

კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები დაფინანსდა 833.4ათ ლარით, მათ შორის: ა(ა)იპ კომპლექსური სასპორტო სკოლა დაფინანსდა 96.8%-ით, (გეგმა 138.9 ათ.ლარი, ფაქტი 134.4ათ.ლარი), საფეხბურთო კლუბი „ხვამლი„ დაფინანსდა 94.4%-ით (გეგმა 47.1ათ.ლარი, ფაქტი 44.5ათ.ლარი),ფრენბურთის კლუბი ცაგერი დაფინანსდა 88.2 %-ით (გეგმა 62.7ათ.ლარი,ფაქტი 55.3 ათ.ლარი) კულტურის ცენტრი დაფინანსდა 90.5%-ით, (გეგმა 152.4ათ. ლარი ფაქტი 137.9 ათ.ლარი)მუზეუმი დაფინანსდა 93.9%-ით (გეგმა 82.5ათ. ლარი, ფაქტი 77.5ათ.ლარი) სამუსიკო სკოლა დაფინანსდა 94.9%-ით (გეგმა 37.1თ.ლარი, ფაქტი 35.2ათ.ლარი) სამხატვრო სკოლა დაფინანსდა 98.0%-ით (გეგმა 25.5 ათ. ლარი, ფაქტი 25ათ.ლარი), ბიბლიოთეკები დაფინანსდა 98.5%–ით (გეგმა - 81 ათ ლარი, ფაქტიური - 79.8 ათ. ლარი),კულტურული ღონისძიებების დაფინანსება (წმ.მაქსიმე აღმსარებლის სადღესასწაულო ღონისძიებები და ლადოობა) დაფინანსდა 13.3ათ.ლარი, რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა დაფინასდა 11.2 ათ.ლარი, ,ა(ა)იპ ქალთა უფლებებისა და გენდერული თანასწორობის ცენტრი" დაფინანსდა 98.7%-ით(გეგმა 31.8თ.ლარი, ფაქტი 31.4ათ.ლარი),ლარით,ცაგერის ესთეტიკური აღზრდის ცენტრი დაფინანსდა 91% (გეგმა 24.4თ.ლარი, ფაქტი 22.2ათ.ლარი), ა(ა)იპ ახალგაზრდობის, საზოგადოებასთან ურთიერთობის და პერსპექტიული დაგეგმარების ცენტრი

დაფინანსდა 100%-ით (გეგმა 106.6ათ.ლარი,ფაქტი 106.6ათ.ლარით), ა(ა)იპ ტურიზმის განვითარებისა და ძეგლთა დაცვის ხელშეწყობის ცენტრი დაფინანსდა 95.9%-ით (გეგმა 58.1ათ.ლარი, ფაქტი 55.7 ათ.ლარი).

სოციალური და ჯანდაცვის პროგრამების ხარჯები დაფინანსდა 89.3%-ით (გეგმა 292ათ.ლარი ფაქტი 260.9ათ.ლარი), მათ შორის: საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება დაფინანსდა 97.5%-ით (გეგმა 44.6 ათ. ლარი, ფაქტი 43.5 ათ.ლარი) ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა დაფინანსდა 98.3%-ით (გეგმა 177.4 ათ. ლარი, ფაქტი 174.4 ათ.ლარი). უფასო სასადილოები დაფინანსდა 66.2 %-ით (გეგმა 65.0ათ.ლარი ფაქტი 43.0 ათ. ლარით).

რაც შეეხება სარეზერვო ფონდის ხარჯვას, ცაგერის მუნიციპალიტეტის 2021წლის ბიუჯეტიდან ცხრა თვის განმავლობაში დახარჯული თანხის დიდი ნაწილი გაცემულია მძიმე სოციალური მდგომარეობის მქონე და რთული ქირურგიული ოპერაციების შემდეგ მკურნალონა რეაბილიტაციისათვის. აქედან გამომდინარე საფინანსო-საბიუჯეტო კომისია თვლის, რომ გადასახედია სოციალური მუხლი რათა სარეზერვო ფონდის ხარჯვა იყოს მიზნობრივი და ის ასახავდეს კანონის მოთხოვნებს.